ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№27

ქ. თბილისი; 10 აგვისტო, 2018 წ. 13:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ავთანდილ ცინცაძე
თინათინ ნიბლოშვილი
ელენე ოზაშვილი
ქეთევან მამულაშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე

მოწვეული პირები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი - გიორგი ბაგრატიონი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - გიორგი კიკვიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი - ანდრია ბასილაია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი ველა ჩიქიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი - ნინო კვეტენაძე

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

## დღის წესრიგი

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-95 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის ,,საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები“ გაფორმებულ გრანტის ხელშეკრულებაში განსახორციელებელ ცვლილებაზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი.

4. „ქ. თბილისში, მუხიანის მე-4ა მიკრორაიონის კორპუს N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.13.007.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

5. “ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩის მიმდებარედ არსებულ ფერდობზე N4-ში მდებარე 2008 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N01.16.02.007.054) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

6. “ქალაქ თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე არსებული 18464 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.003.025) 94 კვ.მ მიწის ნაკვეთის გიორგი ალავიძისთვის (პ/ნ: 01008014280) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. “ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/ს: №01.16.05.032.024) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ახალშენიშვილისთვის (პ/ნ: 01019005452) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების

თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. "ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: № 01.16.05.032.024) 9 კვ. მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფარადაის" -ისთვის (ს/ნ: 406216303) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

9. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 12 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით თამარ ბაქრაძე-კაპანაძისთვის (პ/ნ 01030009315) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. "ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: N01.16.05.032.024) 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ასტრალისთვის" (ს/ნ: 442733455) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. „ქალაქ თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: N01.18.03.045.019) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მარსო 2017-სთვის" (ს/ნ: 404534312) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/ნ: N01.16.05.032.024) 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „წყალი+"-ისთვის (ს/კ 405174573) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. "ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/ნ: №01.16.05.032.024) 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით მამუკა დავითაშვილისთვის (პ/ნ: 01009001334) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. "ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.031.029) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის

პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნიუ სერვის გრუპისთვის“ (ს/ნ: 404521059) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. „ქალაქ თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: N01.18.03.045.019) 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტიფლისისთვის“ (ს/ნ: 405247488) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 46 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გოლდენ ფისგერისთვის“ (ს/კ 402079059) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

17. „ქალაქ თბილისში, აბანოს ქ.N8-ის მიმდებარედ არსებული 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ:N01.18.04.019.047) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გუ-ტუ-გუ-სთვის“ (ს/ნ 405150189) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, რკინიგზის სადგურის მიმდებარედ მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, გეგეშიძის ბაღის მიმდებარედ მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

21. "ქალაქ თბილისში, გელოვანის გამზირზე, ავეჯის სახლის მოპირდაპირედ არსებული 394 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.10.10.006.061) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების
პროექტი.

22. „ქ. თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა N4-ში, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.03.058.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

23. „ქალაქ თბილისში, ვუკოლ ბერიძის ქ. #2-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების (საკადასტრო კოდ(ებ)ი: # 01.15.05.061.005.05.501; # 01.15.05.061.005.05.502; # 01.15.05.061.005.05.504; # 01.15.05.061.005.05.505; # 01.15.05.061.005.05.507; # 01.15.05.061.005.05.508) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი წარმომადგენლებისთვის, უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

24. ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუსი N25-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 11 774 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.07.004.025) საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების შესახებ პირობების მოწონების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

25 "ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი IV, კორპუსი N25 ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 6122 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.72.14.004.483) მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N8-77 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ბაგრატიონმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-95 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N20-95 დადგენილებაში და ახალი რედაქციით ყალიბდება დადგენილების პრეამბულა, დადგენილების პირველი პუნქტი და დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. ასევე, მომხსენებლის თქმით, ცვლილება შედის და ახალი რედაქციით ყალიბდება ზემოაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის სათაური, დანართი N1-ის მე-3 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები და დანართი N1-ის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები

საკითხის წარმომდგენის თქმით, წარმოდგენილი პროექტის მიღება გაპირობებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებით. კერძოდ, ცვლილების შედეგად კოდექსს დაემატა:

- $150^{7}$ მუხლი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იერსახის დამახინჯება;
- $150^{3}$ მუხლი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იერსახის თვითნებური შეცვლა;
- $153^{9}$ მუხლი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო პირობების დარღვევა და გარე რეკლამის განთავსება შესაბამისი ნებართვის გარეშე;
- $158^{3}$ მუხლი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეკლამის დაკვეთისათვის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევა და აზრის დაკვეთისა და განთავსებისათვის დადგენილი წესების დარღვევა;

- $158^{4}$ მუხლი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასათანადო რეკლამის განთავსება (გავრცელება).

ზედამხედველობის სამსახურის უფროსის თქმით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $153^{6}$ მუხლი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე - ასევე ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. აღნიშნულ მუხლს დაემატა მე 4 და მე 5 ნაწილები. $153^{6}$ მუხლის მე 4 ნაწილით სანქცირებას ექვემდებარება ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის, კერძოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე, ჩადენა სატრანსპორტო საშუალების, მასზე მისაბმელის ან ნებისმიერი სხვა მოძრავი საშუალების გამოყენებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილების პროექტით ხდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $153^{6}$ მუხლის მე-4 ნაწილის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურზე დელეგირება.

გიორგი ბაგრატიონმა იქვე განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე შედგება საჯარიმო ქვითრები, რომლებიც არ ექვემდებარება კოდექსის 208-ე მუხლის შესაბამისად, განსჯადობის საფუძველზე, საქალაქო სასამართლოში გადაგზავნას. საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელი სამართალდამრღვევს ადგილზე შეუფარდებს სახდელს.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $153^{6}$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტის დადგენის შემთხვევებში, შესაბამის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენაზე უფლებამოსილი პირებისა და მათ მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას განხორციელებული ქმედებების შესახებ.

გიორგი ბაგრატიონის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, შესაბამისი ნებართვის გარეშე, უკანონო ვაჭრობის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, ფიზიკური პირის ან/და იურიდიული პირის დაჯარიმებას ახორციელებს თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახური ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, ხოლო დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, საჭიროებისას, აღნიშნულ პროცესში ერთვებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირები.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი - თინათინ ნიბლოშვილი დაინტერესდა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აზრის

განთავსებისათვის დადგენილი წესების დარღვევისას შეფარდებული სანქციის შესახებ. ასევე, ქალბატონმა თინათინმა მომხსენებელს დაუსვა შეკითხვა, ფეხით მოსიარულე მოვაჭრეების შესახებ.

ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილი ცვლილებების შემდგომ, აზრის განთავსებისათვის დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში საჯარიმო ქვითარი აღარ დაექვემდებარება საქალაქო სასამართლოში გადაგზავნას, არამედ სამართალდამრღვევს ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი.

გიორგი ბაგრატიონის თქმით, მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ არ ხორციელდება ფეხით მოსიარულე მოვაჭრეების დაჯარიმება. ასევე, ბატონმა გიორგიმ, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ გარე მოვაჭრეების დიდი უმრავლესობა ემორჩილება ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლების მოთხოვნას, რის შედეგად, თბილისის მაშტაბით, ბევრ სხვადასხვა ლოკაციაზე დარეგულირდა გარე ვაჭრობის საკითხი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დადგენილების პროექტში, რომელიც ახალი რედაქციით აყალიბებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-95 დადგენილების პრეამბულას, პირველი პუნქტს, დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს დაქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-95 დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის სათაურს, დანართი N1-ის მე-3 მუხლის პირველ და მეორე პუნქტებს და დანართი N1-ის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს, სასურველია აღნიშნულ პუნქტებში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-95 დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის სათაურში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $150^2$ მუხლის, $150^3$ მუხლის, $153^6$ მუხლის მე-4 ნაწილის, $153^9$ მუხლის, $158^3$ მუხლის და $158^4$ მუხლის მითითებასთან ერთად დარჩეს, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-95 დადგენილების პრეამბულაში ჩაემატოს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $146^1$ მუხლი, რომელსაც მოიცავს მოქმედი დადგენილების შესაბამისი მუხლები

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მე 2 მუხლი უნდა შეიცვალოს და დადგენილების ამოქმედების ვადად მიეთითოს 2018 წლის 28 აგვისტო, ნაცვლად 29 აგვისტოსი, რამდენადაც, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილების, რომელმაც განაპირობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-95

დადგენილებაში ცვლილების შეტანა, ამოქმედების ვადად განსაზღვრულია 2018 წლის 28 აგვისტო.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი“ წევრმა - ელენე ოზაშვილმა,

ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა - გიორგი ბაგრატიონმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, პროექტის მიღება მსგავსად დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხისა, განპირობებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებით კერძოდ, კოდექსს დაემატა:

- $150^2$ მუხლი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იერსახის დამახინჯება);
- $150^3$ მუხლი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იერსახის თვითნებური შეცვლა;
- $153^9$ მუხლი (ქალაქ თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო პირობების დარღვევა და გარე რეკლამის განთავსება შესაბამისი ნებართვის გარეშე);
- $158^3$ მუხლი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეკლამის დაკვეთისათვის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევა და აზრის დაკვეთისა და გაჩთავსებისათვის დადგენილი წესების დარღვევა);
- $158^4$ მუხლი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასათანადო რეკლამის განთავსება (გავრცელება)).

გიორგი ბაგრატიონის თქმით, მითითებული მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე შედგება საჯარიმო ქვითრები, რომლებიც არ ექვემდებარება

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 208-ე მუხლის შესაბამისად, განსჯადობის საფუძველზე რაიონულ-საქალაქო სასამართლოში გადაგზავნას. კოდექსის 150-ე, $150^{1}$, $153^{4}$, 159 და $159^{1}$ მუხლების დელეგირების საფუძველი აღარ არსებობს, ვინაიდან, იდენტური შინაარსის $150^{2}$, $150^{3}$, $153^{9}$,$158^{3}$ და $158^{4}$ მუხლების დელეგირებას ითვალისწინებს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-95 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. შესაბამისად საკითხის წარმომდგენის თქმით, ხდება №20-96 დადგენილებიდან საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 150-ე, $150^{1}$, $153^{4}$, 159 და $159^{1}$ მუხლების ამოღება

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ქორქოლიანის განმარტებით, სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე 2 პუნქტი.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, ვინაიდან, თავად დადგენილება ითვალისწინებს პუნქტებს და არა მუხლებს. დადგენილების პროექტის წინადადება: „1. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით“ შეიცვალოს და მიეთითოს: „1. დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:“

ასევე, ლევან ქორქოლიანის თქმით, მსგავსად დღის წესრიგით გათვალისწინებული რიგით 1-ლი საკითხისა, მოცემულ ნორმატიულ აქტშიც ამოქმედების თარიღად უნდა მიეთითოს: 2018 წლის 28 აგვისტო

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი“ წევრმა ელენე ოხაშვილმა

ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა - ანდრია ბასილაიამ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის ,,საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები“ გაფორმებულ გრანტის ხელშეკრულებაში განსახორციელებელ ცვლილებაზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის გაფორმებული გრანტის ხელშეკრულების ცვლილების მიზეზს წარმოადგენს ბიზნეს აქსელერატორის განსათავსებლად შერჩეული შენობის ლოკაციის შეცვლა.

ანდრია ბასილაიას თქმით, შერჩეული მედიათეკების შენობები, რემონტის თვალსაზრისით სრულად გამართულია, საჭირო იქნება მხოლოდ მინიმალური ხარჯები გამოყოფილი ფართების აქსელერატორის ოფისებად გადასაკეთებლად.

ანდრია ბასილაიამ იქვე დასძინა, რომ ზემოაღნიშნული ცვლილება, პოზიტიურად აისახება საოჯახზე, რაც ასევე, იძლევა პროგრამით გათვალისწინებული ბენეფიციარების რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობას.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ ვინაიდან გრანტის ხელშეკრულების დადებაზე თანხმობა საკრებულოს მიერ გაიცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, საკრებულოს განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ აღნიშნულ საკითხზე შემუშავებულ იქნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის გაფორმებულ გრანტის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომელიც თან დაერთვება კომისიის მიერ შემუშავებულ დასკვნას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირის შორის ,,საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები“ გაფორმებულ გრანტის ხელშეკრულებაში განსახორციელებელ ცვლილებაზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი, კომისიის მიერ დასკვნაზე თანდართული აქტის სახით, განხილულ იქნეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ.

თბილისში, მუხიანის მე-4ა მიკრორაიონის კორპუს N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.13.007.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, მუხიანის მე-4ა მიკრორაიონის კორპუს N10-ში მდებარე უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვეტენაძემ დაამატა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე წარმოდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობები.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომხსენებლად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი “ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩის მიმდებარედ არსებულ ფერდობზე N4-ში მდებარე 2008 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.16.02.007.054) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩის მიმდებარედ არსებულ ფერდობზე N4-ში მდებარე 2008 კვ.მ მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის ფორმით სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

ნინო კვეტენაძემ ასევე განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით წარედგინა სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დადებითი რეკომენდაცია, მიწის ნაკვეთის საქართველოს საპატრიარქოსთვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი; ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი ასევე, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტი;

ლევან ჟორჟოლიანმა ასევე განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ასევე უნდა მიეთითოს: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი.

დასასრულს, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების მე 2 პუნქტში აგრეთვე უნდა მიეთითოს სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადა.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი“ წევრმა - ელენე ოზაშვილმა.

ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ჩიჩო კვეტენაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე არსებული 18464 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01 18.03.003.025) 94 კვ.მ მიწის ნაკვეთის გიორგი ალავიძისთვის (პ/ნ: 01008014280) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, გიორგი ალავიძისთვის ქალაქ თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე არსებული 18464 კვ მ მიწის ნაკვეთიდან, 94 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 5 (ხუთი) წლით.

- ✓ ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასური შეადგენს 5 700 (ხუთი ათას შვიდასი) ლარს.

მომხსენებელმა დაამატა, რომ დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ რეგისტრირებული უძრავი ქონება წარმოადგენს გიორგი ალავიძის საკუთრებას.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61 ე მუხლის მე 2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/ნ: №01.16.05.032.024) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ახალშენიშვილისთვის (პ/ნ: 01019005452) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, გიორგი ახალშენიშვილისთვის ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ ფართობის ტერიტორიიდან, 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრულია 5 (ხუთი) წლით.
- ✓ ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასური შეადგენს 1 800 (ათას რვაასი) ლარს

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ ზემოაღნიშნული პირის საკუთრებაშია ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N49/ქ. თბილისში, მაზნიაშვილის ქ. N2-ში მდებარე ფართები.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: № 01.16.05.032.024) 9 კვ. მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფარადაის" ისთვის (ს/ნ: 406216303) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი".

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ. მ. ფართობის ტერიტორიიდან, 9 კვ. მ. მიწის ნაკვეთის შპს „ფარადაის" - ისთვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2022 წლის 25 ივლისამდე.
- ✓ ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს 1700 (ათას შვიდასი) ლარს.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი № 24/ქალაქ თბილისში რომის ქუჩა № 4-ში მდებარე ფართს 2022 წლის 25 ივლისამდე.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ლევან ჟორჟოლიანმა ასევე განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში არასწორად არის მითითებული მთავრობის 2018 წლის 18 ივლისის № 18.580.877 განკარგულება, რომელიც უნდა გასწორდეს.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ· №01 16 05 032 024) 12 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით თამარ ბაქრაძე-კაპანაძისთვის (პ/ნ 01030009315) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოქალაქე თამარ ბაქრაძე-კაპანაძისთვის, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 5 (ხუთი) წლით.
- ✓ ხოლო, საიჯარო ქირის ოდენობად განსაზღვრულია წლიური 2 200 (ორი ათას ორასი) ლარი.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ ზემოაღნიშნული პირის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №38-ში მდებარე 18.83 კვ.მ ფართი.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: N01.16.05.032.024) 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ასტრალისთვის" (ს/ნ: 442733455) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ასტრალი" სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2019 წლის 8 თებერვლამდე.
- ✓ ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარს.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ შპს „ასტრალი" სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ფლობს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N22/3-ში მდებარე 29,58 ფართს 2019 წლის 8 თებერვლამდე ვადით.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის

გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: N01.18.03.045.019) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მარსო 2017 სითის" (ს/ნ: 404534312) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „მარსო 2017-სითის" სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 5 (ხუთი) წლით.
- ✓ ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს 4800 (ოთხი ათას რვაასი) ლარს.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ შპს „მარსო 2017-ის საკუთრებას წარმოადგენს ქ. თბილისში ერეკლე II-ის ქუჩა N6-ში მდებარე უძრავი ქონება.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის აზრით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების სათაურის, განკარგულების ნომრისა და იჯარის ფორმით გადასაცემი უძრავი ქონების ფართობის ოდენობის მითითების ნაწილში დაშვებული შეცდომები.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/ნ: №01.16.05.032.024) 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „წყალი +"-ისთვის (ს/კ 405174573) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „წყალი +" ისთვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2022 წლის 1 ივლისამდე.
- ✓ ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს 4200 (ოთხი ათას ორასი) ლარს.

მომხსენებელმა დაამატა, რომ ზემოაღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №53-ში მდებარე 60 კვ. მ. უძრავ ქონებას 2022 წლის 1 ივლისამდე ვადით.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითების საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის

ტერიტორიიდან (ს/ნ: №01.16.05.032.024) 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით მამუკა დავითაშვილისთვის (პ/ნ: 01009001334) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე მამუკა დავითაშვილისთვის ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 5(ხუთი) წლით.
- ✓ ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს 4 500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარს.

მომხსენებელმა დაამატა, რომ ზემოაღნიშნული პირის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №38-ში მდებარე 52 კვ.მ ფართი.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის აზრით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ლევან ჟორჟოლიანმა დაამატა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში არასწორად არის მითითებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 16 ივლისის №18.542.832 განკარგულება, რომელიც უნდა გასწორდეს.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.031.029) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნიუ სერვის გრუპისთვის" (ს/ნ: 404521059) სარგებლობის უფლებით

იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „ნიუ სერვის გროუპისთვის" ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2021 წლის 18 ოქტომბრამდე.
- ✓ ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს 3 600 (სამი ათას ექვსასი) ლარს.

მომხსენებელმა დაამატა, რომ აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №23-ში მდებარე ფართებს 2021 წლის 18 ოქტომბრამდე ვადით.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, საყურადღებოა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე 2 პუნქტი

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვერტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: N01.18.03.045.019) 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტიფლისისთვის" (ს/ნ: 405247488) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში ერეკლე II-ის ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტიფლისი"-

სთვის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 5(ხუთი) წლით.
- ✓ ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს 12 800 (თორმეტი ათას რვაასი) ლარს.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01 16 05 032 024) 46 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გოლდენ ფინგერისთვის“ (ს/კ 402079059) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „გოლდენ ფინგერისთვის“ ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ ფართობის ტერიტორიიდან, 46 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2024 წლის 12 მარტამდე.
- ✓ ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს 8 300 (რვა ათას სამასი) ლარს.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ ზემოაღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N51-ში მდებარე ფართებს, 2024 წლის 12 მარტამდე ვადით.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ლევან ჟორჟოლიანმა დაამატა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში არასწორად არის მითითებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 16 ივლისის №18 556 849 განკარგულება, რომელიც უნდა გასწორდეს

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს:

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, აბანოს ქ.N8-ის მიმდებარედ არსებული 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ:N01.18.04.019.047) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გე-ტე-გე სთვის“ (ს/კ 405150189) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ.თბილისში, აბანოს ქ.N8 ის მიმდებარედ, არსებული 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის შპს „გე-ტე-გე-სთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2021 წლის 5 აპრილამდე
- ✓ ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს 2 400 (ორი ათას ოთხასი) ლარს.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ აღნიშნული კომპანია იჯარის უფლებით ფლობს ქ.თბილისში, გრიშაშვილის ქ.N3/ქალაქ თბილისში, აბანოს ქ.N8-ში მდებარე უძრავ ქონებას, 2021 წლის 5 აპრილამდე.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18.19.20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-18, მე-19, მე-20 საკითხები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, წინასწარ განსაზღვრულ ლოკაციებზე, მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე, ინტერესთა გამოხატვის პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მოწონების შესახებ.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 18 ივლისის N18.570.853, №18.572.851, N18.571.852 განკარგულებათა შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა აცხადებს ინტერესთა გამოხატვას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, რკინიგზის სადგურის, გეგეშიძის ბაღის და ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე, მთავრობის განკარგულებათა დანართებით წარმოდგენილი ინტერესთა გამოხატვის პირობების შესაბამისად.

როგორც ქალბატონმა ნინომ განაცხადა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის N18.570.853 განკარგულების მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, რკინიგზის სადგურის მიმდებარედ მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მოწყობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის ძირითადი პირობებია:

- ✓ რკინიგზის სადგურის მიმდებარე მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მიწის ნაკვეთის საკადასტრო ფართობია 5084 კვ.მ.
- ✓ ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობაა - 470 ერთეული.

- ✓ წინასამშენებლო საბანკო გარანტიის ოდენობაა 235.000.00 (ორას ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი ან მისი ეკვივალენტი ოდენობა აშშ დოლარში/ევროში.
- ✓ სამშენებლო საბანკო გარანტიის საწყისი (მინიმალური) ოდენობაა 1.175.000.00 (მილიონ ას სამოცდათხუთმეტიათასი) ლარი ან მისი ეკვივალენტი ოდენობა აშშ დოლარში/ევროში.

ნინო კეკტენაძემ კომისიის წევრებს ასევე გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 18 ივლისის №18.572.851 განკარგულებაზე თანდართული ინტერესთა გამოხატვის ძირითადი პირობები, რომლის თანახმად:

- ✓ გეგეშიძის ბაღის მიმდებარე მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მიწის ნაკვეთის სავარაუდო ფართობია 2250 კვ.მ.
- ✓ ავტოსადგომების მინიმალური ოდენობაა - 175 ერთეული.
- ✓ წინასამშენებლო საბანკო გარანტიის ოდენობად განსაზღვრულია 87,500.00 (ოთხმოცდაშვიდი ათას ხუთასი) ლარი ან მისი ეკვივალენტი ოდენობა აშშ დოლარში/ევროში. ხოლო, სამშენებლო საბანკო გარანტიის საწყისი (მინიმალური) ოდენობა შეადგენს 437,500.00 (ოთხას ოცდაჩვიდმეტი ათას ხუთასი) ლარს ან მისი ეკვივალენტ ოდენობას აშშ/ევროში,

ქალბატონმა ნინომ იქვე დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის N18.571.852 განკარგულების დანართის სახით წარმოდგენილი ინტერესთა გამოხატვის ძირითადი პირობების მიხედვით, ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ, 840 კვ.მ. (სავარაუდო ფართობი) მიწის ნაკვეთზე იგეგმება ავტოსადგომის მშენებლობა, რომელზეც უნდა განთავსდეს მინიმუმ 70 ერთეული ავტოსადგომი.

საკითხის წარმომდგენის თქმით, წინასამშენებლო საბანკო გარანტიის ოდენობა შეადგენს - 35,000 00 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარს ან მის ეკვივალენტ ოდენობას აშშ დოლარში/ევროში. ხოლო, სამშენებლო საბანკო გარანტიის საწყისი (მინიმალური) ოდენობაა - 175,000.00 (ას სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარი ან მისი ექვივალენტი ოდენობა აშშ დოლარში/ევროში,

მომხსენებელმა დაამატა, რომ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირებს ქონება გადაეცემა საკუთრებაში, პირდაპირი განკარგვის წესით სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად.

ნინო კეეტენაძემ ასევე განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 18 ივლისის N18.570.853, №18.572.851, N18.571.852 განკარგულებებზე თანდართული ინტერესთა გამოხატვის პირობებით განსაზღვრულია პროექტის აღწერილობა, ძირითადი ვადები, საბანკო გარანტიები, ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის აუცილებელი პირობები, გამარჯვებული პირის გამოვლენის წესი და კრიტერიუმები, პროექტის განხორციელების ძირითადი პირობები და ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის ვადა.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა განაცხადა, რომ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირს/პირებს უძრავი ქონება გადაეცემა მიწისზედა ტერიტორიის მშენებლობის/ოპერირების უფლების გარეშე, გარდა უშუალოდ და პირდაპირ ავტოსადგომის მშენებლობასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის (ჩასასვლელ-ამოსასვლელი კვანძების) მოწყობის უფლებისა.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილ განკარგულებათა პროექტების სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ უნდა იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ", „კ" ქვეპუნქტები, $118^1$ მუხლის პირველი, მე 2, მე 3 პუნქტები და მიეთითოს ამავე კოდექსის მე-16 მუხლის მე 3 პუნქტი, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტი.

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, წარმოდგენილ განკარგულებათა პროექტების სამართლებრივ საფუძვლებში ასევე უნდა მიეთითოს:

*მე 18 საკითხი* ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 18 ივლისის №18.570.853 განკარგულება.

*მე-19 საკითხი* ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 18 ივლისის №18.572.851 განკარგულება.

*მე-20 საკითხი* - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 18 ივლისის N18 571 852 განკარგულება

ლევან ჟორჟოლიანმა ასევე მიუთითა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-18 საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დანართის მე-9 პუნქტის 9.1 ქვეპუნქტში არის ტექნიკური ხასიათის ხარვეზი, რომელიც უნდა გასწორდეს და ინტერესთა გამოხატვით დაინტერესებულ პირთა მიერ წინამდებარე პირობებით განსაზღვრული განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადად მიეთითოს „2018 წლის 1 ოქტომბერი, 18:00 საათი."

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ მე-18; მე-19; მე-20 საკითხებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი" წევრმა - ელენე ოზაშვილმა.

ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ სამივე განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, გელოვანის გამზირზე, ავეჯის სახლის მოპირდაპირედ არსებული 394 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.10.006.061) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, დედაქალაქში არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია განიხილავს, მარშალ გელოვანის და პ. სარაჯიშვილის ქუჩის გადაკვეთაზე სატრანსპორტო კვანძის მოწყობის საკითხს. მომხსენებლის თქმით, აღნიშნული ობიექტის მშენებლობის არეალში მოხვდა კერძო საკუთრებაში არსებული N01.10.10.006.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება.

ნინო კვეტენაძის განცხადებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და დაინტერესებაში არსებული ობიექტის თანამესაკუთრეებთან გამართული მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა, რომ აღნიშნული უძრავი ქონების თანამესაკუთრეები დათმობდნენ მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, ალტერნატიული უძრავი ქონების მათთვის გადაცემისა და შესაბამისი კომპენსაციის სანაცვლოდ.

ნინო კვეტენაძემ იქვე დასძინა, რომ მოლაპარაკების ფარგლებში ზემოაღნიშნული უძრავი ქონების თანამესაკუთრეებისთვის გადასაცემად შეირჩა 394 კვ. მ. მიწის ნაკვეთი, რომელიც დარეგისტრირდა N01.10.10.006.061 საკადასტრო კოდით. ასევე ქალბატონი ნინოს თქმით, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შეფასდა გაცვლას დაქვემდებარებული უძრავი ნივთები და 394 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებად საორიენტაციოდ განისაზღვრა 165 480 (ას სამოცდახუთი ათას ოთხას ოთხმოცი) აშშ დოლარი, ხოლო N01 10 10 006 012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებად დადგინდა 427 065 (ოთხას ოცდაშვიდი ათას სამოცდახუთი) აშშ დოლარი.

დასასრულს, ნინო კვეტენაძემ განაცხადა, რომ მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიღებით, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო ობიექტის მშენებლობის მიზნით, შესაბამისი პირებისთვის ალტერნატიული უძრავი ქონების გადაცემასთან ერთად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მხრიდან ასევე განხორციელდება, სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნებით განსაზღვრული, საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის, აღნიშნული პირებისთვის გადახდა, დამატებითი ფულადი კომპენსაციის სახით.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესი, სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს შემდეგნაირად:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის მიხედვით“.

რამდენადაც, აღნიშნული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, გაცვლის ფორმით პრივატიზება შეიძლება განხორციელდეს როგორც საპრივატიზებო საფასურით, ასევე საპრივატიზებო საფასურის გარეშე.

ხოლო, წესის მე-5 მუხლის მიხედვით:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონება შესაძლებელია საკუთრებაში გადაეცეს ფიზიკურ ან/და კერძო სამართლის იურიდიულ პირს მის საკუთრებაში არსებული ქონების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ (გაცვლა);
- ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით;
- გაცვლის ფორმით პრივატიზებით, თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებაში გადაცემა ხორციელდება სხვა ქონების თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ ხელშეკრულების გაფორმებით, რომელსაც ქ. თბილისის მთავრობის სახელით დებს სააგენტო, ქ. თბილისის საკრებულოს თანხმობის გაცემიდან 3 თვის ვადაში.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებული მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ქ. თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა N4-ში, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.03.058.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში ო. კაპანაძის ქუჩა N4ში მდებარე უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით

ნინო კვეტენაძემ დაამატა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე წარმოდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ვუკოლ ბერიძის ქ. №2-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების (საკადასტრო კოდ(ებ)ი: №1.15.05.061.005.05.501; №01.15.05.061.005.05.502; №01.15.05.061.005.05.504; №01.15.05.061.005.05.505; №01.15.05.061.005.05.507; №01.15.05.061.005.05.508) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი წარმომადგენლებისთვის, უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419

განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

მომხსენებლის განმარტებით, წარდგენილია საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 5 აპრილის ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ვუკოლ ბერიძის ქ №2-ში მდებარე სამსართულიანი შენობას (საკადასტრო კოდი: № 01.15.05.061.005) ჩაუტარდა კომპლექსური საინჟინრო-ტექნიკური და სასაქონლო ექსპერტიზები, რომლის თანახმად, აღნიშნული შენობის ტექნიკური მდგომარეობა მთლიანობაში დამაკმაყოფილებელია.

ნინო კვეტენაძემ ასევე განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ხდება, ვუკოლ ბერიძის ქ. №2-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად იმ პირებისთვის გადაცემა, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით და რომლებიც წარმოადგენენ კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ მოქალაქეებს.

მომხსენებელმა დაამატა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ასევე წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობითი შუამდგომლობა.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის ლევან ჟორჟოლიანის თქმით, განკარგულების პროექტის სათაურში მითითებულია, რომ ხდება ქონების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი წარმომადგენლებისთვის ან უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმება.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ წარმომადგენელი – ეს არის პირი, რომელიც მარწმუნებლის (წარმომადგენლობის უფლებამოსილების მიმნიჭებლის) მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე მონაწილეობს სამართლებრივ ურთიერთობაში ხოლო, იმ გარიგებით, რომელსაც წარმომადგენელი დებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენს, უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს და არა თავად წარმომადგენელს.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტიდან გამომდინარე, გადასაცემი ქონების მესაკუთრე უნდა გახდეს არა წარმომადგენელი, არამედ მარწმუნებელი. შესაბამისად, განკარგულების პროექტის სათაურიდან და ამავე განკარგულების პირველი პუნქტიდან, ამოღებულ უნდა იქნას სიტყვა - „წარმომადგენელი“, ვინაიდან, აღნიშნული ჩანაწერი შესაძლოა გაგებულ იქნეს ისე, თითქოს შესაბამისი უძრავი ქონება გადაეცემა წარმომადგენელს და არა თავად მარწმუნებელს.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში ასევე არასწორად არის მითითებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების სათაური, რომელიც უნდა გასწორდეს.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუსი N25-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 11 774 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.07.004.025) საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების შესახებ პირობების მოწონების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუსი N25-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 11 774 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 18 ივნისის N18.422.703 განკარგულების დანართების შესაბამისად.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ ზემოაღნიშნულ მთავრობის განკარგულებაზე თანდართული ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების მიზანია წინასწარ განსაზღვრულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი

დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის უზრუნველყოფა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ.

ნინო კვეტენაძის თქმით, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირს აღნიშნული მიწის ნაკვეთი გადაეცემა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პირობადებულ საკუთრებაში, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად. ასევე, ქალბატონი ნინოს თქმით, გამარჯვებული პირი, შემდგომში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს გადმოსცემს მინიმუმ 3580 კვ.მ. საცხოვრებელ ფართს, რომელსაც მუნიციპალიტეტი გადასცემს ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებს, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დაამატა, რომ  ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, წინასამშენებლო საბანკო გარანტიის ოდენობაა 100 000 (ასი ათასი) ლარი ან მისი ეკვივალენტი ოდენობა აშშ დოლარში/ევროში. ხოლო, უშუალოდ სამშენებლო საბანკო გარანტიის საწყისი (მინიმალური) ოდენობა განისაზღვრება ინტერესთა გამოხატვის ეტაპზე დაფიქსირებული, მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი საცხოვრებელი ფართის 1 კვ.მ. X 500 აშშ დოლარის ეკვივალენტური ოდენობით ეროვნულ ვალუტაში ან მისი ეკვივალენტი ოდენობა აშშ დოლარში/ევროში.

ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ზემოხსენებ განკარგულებაზე თანდართული ინტერესთა გამოხატვის პირობებით განსაზღვრულია პროექტის აღწერილობა, ძირითადი ვადები, ინტერესთ აგამოხატვაში მონაწილეობის აუცილებელი პირობები, გამარჯვებული პირის გამოვლენის წესი და კრიტერიუმები, პროექტის განხორციელების ძირითადი პირობები და ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის ვადა.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ ვინაიდან, განკარგულების პროექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილ იქნა მ/წლის 20 ივნისს, ხოლო, დედაქალაქის საკრებულოს სხდომაზე იგი განიხილება მ/წლის 10 აგვისტოს, მიზანშეწონილია ინტერესთა გამოხატვის პირობებით განსაზღვრული განაცხადის წარდგენის თარიღი გადაიწიოს

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, პრეამბულაში მითითებულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 18 ივნისის N18.422.703 განკარგულება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი“ წევრმა - ელენე ოზაშვილმა,

ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის/წინადადების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, “ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი IV, კორპუსი N25-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 6122 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.72.14.004.483) მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი IV, კორპუსი N25-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 6122 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 18 ივნისის N18.423.702 განკარგულების დასრულების შესაბამისად.

საკითხის წარმომდგენის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ზემოაღნიშნულ განკარგულებაზე თანდართული ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების მიზანია წინასწარ განსაზღვრულ ტერიტორიაზე, საცხოვრებელი დანიშნულების შენობა ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის უზრუნველყოფა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ.

ნინო კვეტენაძის თქმით, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირს აღნიშნული მიწის ნაკვეთი გადაეცემა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პირობადებულ საკუთრებაში, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად, ასევე, ქალბატონი ნინოს თქმით, გამარჯვებული პირი, შემდგომში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს გადმოსცემს მინიმუმ 1860 კვ. მ. საცხოვრებელ ფართს, რომელსაც მუნიციპალიტეტი გადასცემს ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებს, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან

დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, **წინასამშენებლო საბანკო გარანტიის ოდენობაა 100 000 (ასი ათასი) ლარი ან მისი** ეკვივალენტი ოდენობა აშშ დოლარში/ევროში. ხოლო, უშუალოდ **სამშენებლო საბანკო** გარანტიის საწყისი (მინიმალური) ოდენობა განისაზღვრება ინტერესთა გამოხატვის ეტაპზე დაფიქსირებული, მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი საცხოვრებელი ფართის 1 კვ.მ. X 500 აშშ დოლარის ეკვივალენტური ოდენობით ეროვნულ ვალუტაში ან მისი ეკვივალენტი ოდენობა აშშ დოლარში/ევროში.

ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის ზემოხსენებულ განკარგულებაზე თანდართული ინტერესთა გამოხატვის პირობებით განსაზღვრულია პროექტის აღწერილობა, ძირითადი ვადები, ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის აუცილებელი პირობები, გამარჯვებული პირის გამოვლენის წესი და კრიტერიუმები, პროექტის განხორციელების ძირითადი პირობები და ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის ვადა.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ ვინაიდან, განკარგულების პროექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილ იქნა მ/წლის 20 ივნისს, ხოლო, დედაქალაქის საკრებულოს სხდომაზე იგი განიხილება მ/წლის10 აგვისტოს, **მიზანშეწონილია ინტერესთა გამოხატვის პირობებით განსაზღვრული განაცხადის წარდგენის თარიღი გადაიწიოს.**

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, პრეამბულაში მითითებულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 18 ივნისის N18 423 702 განკარგულება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი" წევრმა - ელენე ოხაშვილმა,

ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის/წინადადების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად

მოისმინეს:

26. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა - გელა ჩივიაშვილმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8 22 დადგენილებაში კერძოდ, ღვიძლის ტრანსპლანტაციის მიმწოდებლისათვის დამატებით პირობად განისაზღვრება: მომსახურების განხორციელების უზრუნველყოფის ვალდებულება სპეციალისტის მეშვეობით, რომელსაც წარმატებით აქვს ჩატარებული აღნიშნული მომსახურება მინიმუმ 5-ჯერ.

როგორც გელა ჩივიაშვილმა განმარტა, ასევე იცვლება „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის მე 8 მუხლი, კერძოდ, შეიცვალა მუხლის სტრუქტურა, ასევე მისი I პუნქტით განისაზღვრა ამ წესის მე 3 მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების (ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია) საქართველოში გაწევის შემთხვევაში, მიმწოდებლისათვის დადგენილი პირობები: 1)მომსახურების განხორციელების უზრუნველყოფა არაუმეტეს ამ წესის მე-7 მუხლით განსაზღვრული ტარიფისა და 2) საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მეშვეობით ბენეფიციარისთვის საჭირო ამ წესის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ყველა მომსახურების გაწევა.

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესში“ კერძოდ, ქვეპროგრამის ბენეფიციარი უნდა იყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61 ე მუხლის მე 2 პუნქტი.

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით წარმოდგენილი პროექტის პირველი მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ და „ძუძუს კიბოს

სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“უნდა მიეთითოს შემდეგი სახით:

> „ე“ პუნქტით დამტკიცებული „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი N5)
>
> და
>
> „ვ“ პუნქტით დამტკიცებული„ ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი N6)

კომისიის თავმჯდომარემ ასევე განმარტა, რომ პროექტის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით წარმოდგენილ, მე-8 მუხლის პირველ პუნქტსა და მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში ნაცვლად წესის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა უნდა მიეთითოს „ა“ პუნქტი.

ხოლო, მე-8 მუხლის მე 2 პუნქტში ნაცვლად მე-3 მუხლის „ხ“ ქვეპუნქტისა უნდა მიეთითოს მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტი

ლევან ქორქოლიანმა განაცხადა, რომ მიზანშეწონილია, წარმოდგენილ ცვლილების პროექტში „ვ“ პუნქტით დამტკიცებული „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ (დანართი N6) მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

> „3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული 2 წლიანი რეგისტრაცია არ ვრცელდება ამავე პუნქტში განხორციელებული ცვლილების ძალაში შესვლამდე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირებზე აღნიშნულ პირებზე გავრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტშიგანხორციელებულ ცვლილებამდე არსებული წესი.“

კომისიის თავმჯდომარემ ასევე მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების პირველი მუხლის „ე“ პუნქტით დამტკიცებული „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ (დანართი N5) მე 3 მუხლის „ა“ პუნქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორება და ნაცვლად „პლასტიკური ანემიისა“„აპლაზიური ანემიის“ მითითება.

კომისიის თავმჯდომარის ზემოხსენებულ წინადადებებს დაეთანხმა საკითხის მომხსენებელი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი თინათინ ნიბლოშვილი დაინტერესდა ღვიძლის ტრანსპლანტაციის მიმწოდებლისათვის დამატებით გასაზღვრული პირობის დეტალების შესახებ.

მერიის ჯანდაცვისა დასოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილების შემდგომ, ღვიძლის ტრანსპლანტაციას განახორციელებს სპეციალისტი, რომელსაც წარმატებით აქვს ჩატარებული აღნიშნული მომსახურება მინიმუმ 5-ჯერ.

გელა ჩივიაშვილმა იქვე დასძინა, რომ ვინაიდან ღვიძლის ტრანსპლანტაცია საქართველოში წარმატებით ხორციელდება ბოლო სამი წლის განმავლობაში, ხოლო წელიწადში ტარდება დაახლოები 25 ოპერაცია, (საიდანაც მხოლოდ 1 (ერთი) დასრულდა ლეტალური შედეგით), აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში მრავლად არიან ქირურგები, რომლებიც წარმატებით განახორციელებენ ღვიძლის ტრანპლანტაციას.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო თბილისი" წევრმა - ელენე ოზაშვილმა,

ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი ნინო ჯალაღანია